სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

12208068102623

საქართველო

სანოტარო მოქმედების დასახელება

ფიზიკური პირის მიერ მინდობილობის/რწმუნებულების დადასტურება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N230012770

რეგისტრაციის თარიღი

09.01.2023 წ

ნოტარიუსი: მერაბ ფარჯიკია
მისამართი: ქ. თბილისი ვ/ფშაველას 41
ტელეფონი: მობილური 599 19 64 09

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

სანოტარო აქტი

ორიათას ოცდასამ წლის ცხრა იანვარს მე, ნოტარიუსს მერაბ ფარჯიკიას, რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, ვ/ფშაველას გამზირი 41-ში, მომმართა **შალვა ონაშვილმა,** რომელმაც მოითხოვა მინდობილობის შედგენა და მისი სანოტარო წესით დამოწმება, რომლითაც შესაბამის უფლებამოსილებას მიანიჭებს ოთარ ლორთქიფანიძეს (დაბადებული 10.10.1968წ. პირადი # 01008016897, რეგისტრირებული: ქალაქი თბილისი, მცხეთის ქუჩა, 35-37) მე დავადგინე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ ნამდვილად შალვა ონაშვილმა (დაბადებული 05.05.1981წ. პირადი: # 01009012488, რეგისტრირებული: თბილისი მცხეთის ქ. N 35-37 ბ. 7) მომმართა. მე დავადგინე მისი ქმედუნარიანობა და ნების გამოვლენის ნამდვილობა. მან დაადასტურა რომ მინდობილობა სრულად გამოხატავს მის ნებას, რის შემდეგაც მან ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი, წინამდებარე მინდობილობას. გადახდილია სანოტარო მომსახურების საზღაური „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისთვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის დადგენილება № 507-ისა (29.11.2011 წ.) და ამ დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე საქართველოს მთავრობის 2022 წლის 30 მაისის დადგენილება № 272-ის 31-ე მუხლის საფუძველზე - 18 (თვრამეტი) ლარი, 39-ე მუხლის საფუძველზე - 5 (ხუთი) ლარი სანოტარო ელექტრონულ რეესტრში რეგისტრაციისათვის და საგადასახადო კოდექსის 166-ე მუხლის საფუძველზე დ.ღ.გ. – 3.24 (სამი ლარი და ოცდაოთხი თეთრი) ლარი.

მინდობილობა

მე, **შალვა ონაშვილი,** შემდგომში წოდებული როგორც „მიმნდობი", ოთარ ლორთქიფანიძეს, შემდგომში წოდებული როგორც „მინდობილი პირი" ვანიჭებ შემდეგ უფლებამოსილებას:

- მინდობილი პირი უფლებამოსილია იყოს ჩემი წარმომადგენელი ნებისმიერი სახელმწიფო და არასახელმწიფო ორგანიზაცია/დაწესებულებაში, ნებისმიერ ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან, ნებისმიერ კომპეტენტურ ორგანოებთან, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სამოქალაქო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში, შსს მომსახურების სააგენტოში, ნებისმიერ არქივებში, მერიის ნებისმიერ სამსახურში, გამგეობაში, მუნიციპალიტეტში, იუსტიციის სახლში და მის დაქვემდებარებულ ორგანიზაციაში, სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოში, სანოტარო ბიუროში, ნებისმიერი ინსტანციის სასამართლო ორგანოსა და საკონსტიტუციო სასამართლოში, შპს „კომპაქტ დეველოპმენტი"-ს (ს/კ 405112391) თან ურთიერთობაში.
- მართოს და განკარგოს, მათ შორის გაყიდოს, შიძინოს ჩემს საკუთრებაში არსებული ნებისმიერი უძრავ/მოძრავი ქონება და არამატერიალური ქონებრივი სიკეთე. ჩემი სახელით შეიძინოს, გაასხვისოს, გააჩუქოს. ხელი მოაწეროს ნასყიდობის, ჩუქების, შეზღუდვის ხელშეკრულებებს ან/და ნებისმიერ სხვა ხელშეკრულებებს, (უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშკრულებას, წინარე ნასყიდობის, უძრავი ქონების გადახდის განვადებით ნასყიდობის ხელშკრულებას, ბეს ხელშკრულებას, მოთხოვნის დათმობის ხელშკრულებას, ნასყიდობის ხელშეკრულება ახალი რედაქციით, ნასყიდობის წინარე ხელშეკრულებას, და ა.შ) მათში ცვლილებებისა და დამატებების შენატის შესახებ შეთანხმებებს, მოთხოვნის უფლებისს დათმობის ხელშეკრულებას, უკვე არსებულ ხელშკრულებაში ცვლილების შეტანის ხელშკრულებას.განცხადებებს და ასევე ნებისმიერ სხვა სახის ხელშეკრულებას /დოკუმენტაციას /განცხადებას/ განაცხადს.
- დადოს ნებისმიერი გარიგება, მათ შორის დადოს საკუთარ თავთან გარიგება, შეიტანოს ცვლილება ნებისმიერ გარიგებაში და გააუქმოს ნებისმიერი გარიგება. ხელი მოაწეროს ბინის მიღება-ჩაბარების აქტს, მომსახურების ხელშკრულებას ან/და შეთანხმებას რემონტზე. რაც დაკავშირებულია უძრავი/მორავი ქონების ან/და არამატერიალური ქონებრივი სიკეთის მართვასა და განკარგვასთან. ასევე, მოახდინოს ჩემს საკუთრებაში არსებული უძრავი/მოძრავი ქონების მონაცემებში ცვლილებები და კორექტირებები (მათ შორის უძრავი ქონების კვადრატულობის დაზუსტება, სტატუსის ცვლილება, ნომრის მინიჭება და ნებისმიერი სახის პარამეტრის შეცვლა/კორექტირება). ასევე, მოახდინოს მესაკუთრის პირად მონაცემებში ცვლილებების და დამატებების შეტანა. ჩემი სახელით დაარეგისტრიროს ნებისმიერი უძრავი ქონება. ამისათვის ის უფლებამოსილია აიღოს საჭირო დოკუმენტები, არქივებიდან და ნებისმიერი დაწესებულებებიდან, მოწმობები, ცნობები სამოქალაქო რეესტრიდან, გააკეთოს აზომვითი ნახაზები, გაყოს, გამიჯნოს, მოახდინოს უძრავი ქონების გაერთიანება, მოიპოვოს და ჩააბაროს საჭირო დოკუმენტები უძრავი ქონების საჯარო რეესტრში დარეგისტრირებასთან დაკავშირებით, ჩემი სახელით გასცეს თანხმობა ნაკვეთის ფართობის დაზუსტებაზე, შეიტანოს ცვლილებები საჯარო რეესტრის ჩანაწერებში, აიღოს საკუთრების მოწმობები, საჯარო რეესტრიდან აიღოს ამონაწერები, საკადასტრო რუკები, გადაიხადონ გადასახადები, ხელი მოაწეროს ჩემი სახელით შესაბამის დოკუმენტაციას და შეასრულოს ყველა მოქმედება რაც დაკავშირებულია ამ დავალების შესასრულებლად. მოახდინოს უძრავ ქონებაზე შეთანხმებები და დაიცვას მიმნდობის ინტერესები. ზ/აღნიშნულთან დაკავშირებით ჩემი სახელით ზ/აღნიშნულ დაწესებულებებში შეიტანოს განცხადება/ცნობები/ნახაზები/პროექტი და მიიღოს ნებისმიერი ინფორმაცია და ან დოკუმენტი, საჭიროების შემთხვევაში უკან გამოითხოვოს ჩაბარებული დოკუმენტაცია.

"მინდობილი პირი" უფლებამოსილია მიმნდობის სახელით საქართველოს ნებისმიერ ტერიტორიაზე შეიძინოს ნებისმიერი უძრავი ქონება, თავის შეხედულებისამებრ განსაზღვროს უძრავი ქონების ფასი, მდებარეობა და ხარისხი. ამ მიზნით მინდობილი პირი მიმნდობს წარმოადგენს ნებისმიერ ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან, სანოტარო ბიუროში, შემოსავლების სამსახურში, ნებისმიერ სამშენებლო კომპანიებში, იუსტიციის სახლში და მის დაქვემდებარებაში მყოფ ორგანიზაციაში, საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში და აწარმოებს შესაბამის საქმეს. მინდობილი პირი უფლებამოსილია მიმნდობის სახელით ხელი მოაწეროს ნასყიდობის ხელშკრულებას, გადახდის განვადების უფლებით ნასყიდობის ხელშეკრულებებს, ხელი მოაწეროს ნებისმიერი უძრავი ქონების წინარე და ძირითადი ნასყიდობის ხელშკრულებებს, თანხმობებს, განცხადებებს, ბეს ხელშეკრულებას და ყველა სხვა დოკუმენტს, რაც აუცილებელია უძრავი ქონების შესაძენად ან/და გამომდინარეობს აღნიშნული ხელშეკრულებიდან (დანართები, დამატებითი შეთანხმებები და სხვა), ხელშკრულების დადების დროს თავის შეხედულებისამებრ განსაზღვორს თანხა, ვადა და სხვა პირობები, შეიტანოს ცვლილება დამატებით ხელშეკრულებაში, გააუქმოს ხელშეკრულება. მინდობილი პირი უფლებამოსილია მიმნდობის სახელით მოახდინოს უძრავი ქონების რეგისტრაცია საჯარო რეესტრში. მინდობილი პირი უფლებამოსილია შეასრულოს ყველა ის პროცედურა, რაც დადგენილია საქართველოს კანონმდებლობით და რაც საჭიროა უძრავი ქონების რეგისტრაციასთან.

-ჩემს საკუთრებაში არსებულ ნებისმიერ უძრავ ქონებასთან დაკავშირებით იყოს ჩემი წარმომადგენელი შპს „კომპაქტ დეველოპმენტი"-ს (ს/კ 405112391) და მის წარმომადგენლებთან, თბილისის მერიაში, საკრებულოში, გამგეობებში, მერიის ზედამხედველობის სამსახურში, მერიის მუნიციპალურ ინსპექციაში, სსიპ არქიტექტურის სამსახურში ,ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურში ,გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურში, სატრანსპორტო სამსახურში, ქონების ეროვნული სააგენტო , ქონების მართვის სააგენტო, ასევე იყოს ჩემი წარმოადგენელი სს თელასში, შპს თბილისი ენერჯიში, ჯორჯიან უოთერ ფაუერში, ენერგო პრო ჯორჯიაში, შპს თელმიკოში, თბილსერვის ჯგუფში, მაგთი, სილქნეტი, ახალი ქსელები და სხვა ნებისმიერ საკომუნიკაციო ორგანიზაციებში. „მინდობილი" უფლებამოსილია „მიმნდობის" სახელით ხელი მოაწეროს განცხადებას, საჩივარს (მათ შორის ელექტრონულს) და შეიტანოს ნებისმიერ ადმინისტრაციულ ორგანოში, სხვა ნებისმიერ ორგანიზაციაში/დაწესებულებაში, მიიღოს მონაწილეობა ადმინისტრაციულ წარმოებაში, მიიღოს ნებისმიერი დოკუმენტი ამ დაწესებულებებიდან, არქივებიდან, აწარმოოს საპროექტო/ სამშენებლო დოკუმენტაციის მომზადება/ შეთანხმებასთან და შესაბამისი თანხმობების /ნებართვების/ მოწმობების მიღებასთან , მათ შორის მშენებლობის , დემონტაჟის და სხვა ნებართვების მიღებასთან, მათი მოქმედების ვადების გაგრძელებასთან დაკავშირებით, გასცეს/ გამოითხოვოს, მიიღოს ნებისმიერი თანხმობა, მინდობილი პირი უფლებამოსილია მიმნდობის სახელით წარადგინოს და მიიღოს დოკუმენტები, გადაიხადოს /დაიბრუნოს ბაჟი ან/ და სხვა გადასახადები, შეასრულოს ყველა მოქმედება რაც დაკავშირებულია აღნიშნულ დავალებასთან და არ ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას.

- არავინ არ შეიძლება ეჭვქვეშ დააყენოს მინდობილის უფლებამოსილებანი, იმის გამო, რომ წინამდებარე მინდობილობაში მინდობილის უფლებები ამომწურავად არ არის ჩამოთვლილი. მინდობილი უფლებამოსილია შეასრულოს სხვა ნებისმიერი მოქმედება, რაც პირდაპირ არ არის მითითებული ამ მინდობილობაში, მაგრამ აუცილებელია მიმნდობის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დასაცავად.

- აღნიშნული მინდობილობა შედგენილია 3 (სამ) თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად ერთი ინახება სანოტარო ბიუროში ხოლო დანარჩენი გადაეცათ მხარეებს.

- ეს მინდობილობა გაცემულია 3 (სამი) წლის ვადით და ძალაშია მის გაუქმებამდე.

მიმნდობი: ----------

ნოტარიუსი მერაბ ფარჯიკია


შეკერილია და დანომრილია
31
ფურცლად
ნოტარიუსის

თანხმობა

მე, ოთარ ლორთქიფანიძე (პ/ნ 01008016897) შალვა ონაშვილის პ/ნ 01009012488 მინდობილი პირი (სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი N230012770), ვაცხადებ თანხმობას, რომ შპს „კომპაქტ დეველოპმენტ“-მა ს/ნ 405112391 შეათანხმოს კორექტირებული პროექტი და გააგრძელოს მშენებლობა დაკორექტირებული პროექტის თანამხად, ქალაქი თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის გადაწყვეტილება N 7111200 განაცხადის ნომერი AR11043579.

5/07/2024

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N240846422
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	05.07.2024 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	ხელმოწერის ნამდვილობის დამოწმება
ნოტარიუსი	მერაბ ფარჯიკია
სანოტარო ბიუროს მისამართი	ქ. თბილისი ვ/ფშაველას 41
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	მობილური 599 19 64 09
სანოტარო მოქმედების იდენტიფიკაციური ნომერი	23071829441924

საქართველო

ორი ათას ოცდაოთხი წლის ხუთ ივლისს მე, ნოტარიუსს მერაბ ფარჯიკიას, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას 41-ში. მომმართა ოთარ ლორთქიფანიძემ, რომელმაც წარმოადგინა თანხმობა და მოითხოვა მასზე თავისი ხელმოწერის სანოტარო წესით დამოწმება. მე დავადგინე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ მე წამდვილად ოთარ ლორთქიფანიძემ (დაბადებული 10.10.1968წ. პირადი: № 01008016897, რეგისტრირებული: ქალაქი თბილისი, მცხეთის ქუჩა, N 35-37) მომმართა. მე შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა და დავრწმუნდი, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. შემდეგ დავადგინე მისი ნების გამოვლენის ნამდვილობა, გაწვუმარტე, რომ წინამდებარე დოკუმენტზე ხელმოწერის დამოწმებისას ნოტარიუსი ამოწმებს, რომ დოკუმენტზე შესრულებული ხელმოწერა წამდვილად ზემოაღნიშნულ პირს ეკუთვნის. ნოტარიუსი არ ადასტურებს დოკუმენტში მოყვანილი ფაქტების ნამდვილობას და შესაბამისად პასუხს არ აგებს მის ნამდვილობაზე, ამის შემდეგ ჩემი თანდასწრებით პირადად შეასრულა ხელმოწერა წინამდებარე დოკუმენტზე.
გადახდილია სანოტარო მომსახურების საზღაური ,,სანოტარო მოქმედებათა შესრულებისთვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის დადგენილება № 507-ისა (29.11.2011 წ.) და ამ დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე საქართველოს მთავრობის 2022 წლის 30 მაისის დადგენილება № 272-ის 31-ე მუხლის საფუძველზე - 6.00 (ექვსი) ლარი, 39-ე მუხლის საფუძველზე სანოტარო მოქმედებათა ელექტრონული რეესტრში რეგისტრაციის საფასური 5.00 (ხუთი) ლარი და საგადასახადო კოდექსის 166-ე მუხლის საფუძველზე დ.ღ.გ. – 1.08 ლარი.

ნოტარიუსი მერაბ ფარჯიკია

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18